# ეს გამარჯვებაც მოვიდა!

ქუთაისელმა რეგბისტებმა წელს სსრ კავშირის თასი და ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 197 (9608) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# მესამე რაუნდი საქირო აღარ გახდა

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი თამაზ ხარაბაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

მონინო (მოსკოვის ოლქი). 12 ოქტომბერი.

სამხედრო საჰაერო აკადემია (მონინო) — „მშენებელი" (ქუთაისი) 7:13 (3:6).

სამხედრო-საჰაერო აკადემია (სსა): ბობროვი; რომანოვი, ნეჩაევი, სალავათოვი, ვინოხოდოვი; კორნიენკო, ფრანცუზოვი; ბორისოვი, ივანოვი, პერეპიოლკინი, ლუკიანოვი, ტიხონოვი, კუშნარიოვი, ოვჩინიკოვი, მასლიაკოვი.

„მშენებელი": ხამაშურიძე; ლიპარტელიანი (გიორგაძე), ნემსიწვერიძე, ხარშილაძე, ყორყოლიანი; მაჩიტიძე, ლოსაბერიძე (დეისაძე); ობოლაძე, ტურძელაძე, გაბუნია (ლილუაშვილი), ოდიშარია, გრიგალავა (ძოწენიძე), შვანგირაძე, ნაჭყებია, ფხაკაძე.

მსაჯი — ალფონსას გრუმბინასი (ვილნიუსი).

გოლები: სსა: ბობროვი — საჯარიმო (6), რომანოვი — ლელო (55); „მშენებელი": ხამაშურიძე — 2 საჯარიმო (2,40), მაჩიტიძე — არეკნი (52), ფხაკაძე — ლელო (75).

რა დაგვავიწყებს 12 ოქტომბრის საღამოს. ჩვენი რეგბისტები, მწვრთნელები, მათი ქომაგები ცრემლებულნი არასოდეს გვინახავს. ეს იყო სიხარულის ცრემლი, მოგვრილი იმ გამარჯვებით, რომელსაც დიდი ხანია ელოდნენ ქართველი რეგბისტები... იმ გამარჯვებით, მთელი სეზონის მანძილზე რომ სჭედდნენ რიონისპირელი ბიჭები.

მაგრამ ეს იყო თამაშის შემდეგ. მანამდე კი უჩვეულოდ ვღელავდით — საქირო იყო უაღრ...

იხ. მე-3 გვ.



ამ სურათზე „მშენებლისა" და სსა-ს ერთ-ერთი შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი. წლევანდელი ჩემპიონატი სწორედ ამ გუნდების „დუელმა" დაამშვენა და დააგვირგვინა.



გარი კასპაროვ — ანატოლი კარპოვის მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



12 ოქტომბერს სევილიაში, ლოპე დე ვეგას თეატრში გაიმართა პირველი პარტია. თეთრი ფიგურებით თამაშობდა ანატოლი კარპოვი. მეტოქენი 30-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

# ანატოლი კარპოვის პრესკონფერენცია

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი თამაზ გიორგაძე სევილიიდან ტელეფონით გვატყობინებს:

გარი კასპაროვმა, როგორც ვიუწყებოდით, მატჩის გახსნამდე ორჯერ ჩაატარა პრესკონფერენცია სევილიაში. შემდეგ ჟურნალისტების წინაშე წარსდგა ანატოლი კარპოვი. კარპოვმა პრესკონფერენციის პირველი ნახევარი მატჩს მიუძღვნა, მეორე ნახევარში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გარი კასპაროვის ახლახან გამოცემული წიგნის ირგვლივ ისაუბრა. კარპოვმა თქვა, რომ ამ წიგნში მოყვანილი აზრები და ფაქტები არ შეეფერება სინამდვილეს. გარი ყოველნაირად ცდილობდა ამ წიგნს ჩემამდე არ მოეღწია. მინდა ხაზი გავუსვა რამდენიმე გარემოებას. გარის ავიწყდება, რომ როდესაც წაგება ჩაუთვალეს კორჩნოისთან მატჩში, მე მაშინ ყველაფერი ვიღონე, რომ ეს მატჩი ჩატარებულიყო. ჩემს ბინაზე მოსკოვში ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. გარი მეხვეწებოდა დავხმარებოდი როგორმე ჩატარებულიყო მატჩი კორჩნოისთან. ჩემს ბინაზე ვხვდებოდით მე, კასპაროვი და სმისლოვი, რომელსაც აგრეთვე წაგება ჩაუთვალეს რიბლისთან მატჩში. სწორედ მაშინ, ჩემი დახ-

იხ. მე-4 გვ.

# ვახტანგ იაგორაშვილი ლიდერია

დასავლეთ ბერლინი. თანამედროვე ხუთჭიდელთა ევროპის ჩემპიონატზე პირველი დღის შემდეგ (ფარიკაობა) თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი მესამე ადგილზე იყო და ლიდერებს 62 ქულით ჩამორჩებოდა (მეორე საბჭოთა ხუთჭიდელმა ალექსანდრე ხაპლანოვმა და უნგრელმა იოზეფ დემეტერმა ფარიკაობაში ერთნაირი ქულები — 1062-1062 დააგროვეს).

მეორე სახეობა ცურვა გახლდათ, უფრო ზუსტად ნებისმიერი სტილით შეჯიბრება 300 მეტრზე. ვახტანგს ამ სახეობაში გამარჯვების კარგი შანსები ჰქონდა, ვინაიდან ობიექტურად იგი თავის მეტოქეებზე უფრო ძლიერია. და მართლაც იაგორაშვილის შედეგის გაუმჯობესება (3.14,0) ვერავინ შეძლო.

ამ გამარჯვების შემდეგ თბილისელი ხუთჭიდელი დაწინაურდა — 2320 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა უნგრელი დემეტერი — 2282 ქულა, მესამეზე — ხაპლანოვი — 2246 ქულა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ცურვაში გუნდური გამარჯვებაც მოიპოვა — 3772 ქულა. ორი სახეობის შემდეგ ჩვენ ხუთჭიდელებს 6555 ქულა დაუგროვდათ. უახლოეს კონკურენტს უნგრეთის ნაკრებს ისინი უკვე 201 ქულით უსწრებენ. მომდევნო ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიის (6085 ქულა), გფრ-ის (6053 ქულა) და შვეციის (5784 ქულა) წარმომადგენლები.

# მე თქვენ გიცნობთ!

— ეს იყო პირველი სიტყვები, რაც საქართველოს მიწაზე წარმოთქვა თურქეთის სპორტის მინისტრმა ქემალ ქამილოღლუმ. სტუმარმა უმალვე იცნო ორი სახელოვანი ქართველი ფალავანი ვახტანგ ბალავაძე და ლევან თედიაშვილი, რომლებიც აეროპორტში ოფიციალურ პირებთან ერთად მინისტრის დასახვედრად მოვიდნენ.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეზობელი ქვეყნები ვართ, ურთიერთობა, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, რომელიც სასურველია. პირველ ყოვლისა ეს ეხება სპორტს. სსრ კავშირში შესანიშნავი პირობებია შექმნილი სპორტის ყველა სახეობების განვითარებისათვის. სურვილი გვაქვს თქვენს ქვეყანასთან დავამყაროთ უფრო მჭიდრო ურთიერთობა, რაც, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის. ხელშეკრულება, რომელსაც რამდენიმე დღეში მოსკოვში მოვაწერთ ხელს, ითვალისწინებს სპორტის სფეროში სხვადასხვა კავშირ-ურთიერთობას. მაგალითად, განზრახულია ორივე ქვეყნის სპორტსმენთა ერთობლივი საწვრთნელი შეკრებებისა და ამხანაგური შეხვედრების ჩატარება, სპორტული დელეგაციების გაცვლა. ვაპირებთ სსრ კავშირიდან თურქეთში მივიწვიოთ გამოცდილი მწვრთნელები. ჩვენი ურთიერთობის პირველ ეტაპზე თანამშრომლობას ჭიდაობის სახეობებში დავიწყებთ. სწორედ ამ მიზნით ჩამოვედი თქვენს რესპუბლიკაში. საქართველო ხომ მთელ მსოფლიოშია ცნობილი თავისი საჭიდაო სკოლით.

სტუმარს აეროპორტში დახვდნენ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელები, ჟურნალისტები.

ბეჟან ბოჭორიშვილი.



სურათზე: ქემალ ქამილოღლუმი (შუაში), ვახტანგ ბალავაძე და ლევან თედიაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!"

# გულისხმიერად მოეკიდნენ

გაცნობებთ, რომ საკავშირო კონკურს-დათვალიერებებში ჩვენს რაიონში ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი ჩაება, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელების უშუალო დახმარებით და ხელშეწყობით გაშენდა ახალი სპორტული მოედნები. მაგალითად, ფეხბურთის მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოეწყო სოფლებში ფარცხისში, ჯორჯიაშვილში, ჩხიკვთაში და თონეთში. ახალსოფელში კი ფრენბურთისა და კალათბურთის ახალი მოედნები ჩადგა ფიზკულტურელთა სამსახურში. სოფელ ვაშლოვანში საბჭოთა მეურნეობის ძველი ნაგებობა, სადაც სასუქი ინახებოდა, გადაკეთდა ჭიდაობის დარბაზად.

თ. ქარქუზოვი,
პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თეთრი წყაროს რაისაბჭოს თავმჯდომარე.

მელბურნი. ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში, რომელიც „ოლიმპიადა-56"-ის ქალაქში ჩატარდა, გამარჯვება ამერიკელმა რიკ სეიერმა მოიპოვა. მანძილი მან 2:14.16-ში დაფარა. ფინიშის ხაზი 58 წამის შემდეგ პოლონელმა სტაიერმა ეჟი სკარჟინსკიმ გადაკვეთა. მესამე ადგილზე შვეიცარიელი რიშარ უმბერი გავიდა — 2:15.26. ქალთა პირველობა ავსტრალიელ ჯეკი ტერინს დარჩა — 2:44.18.

ხამამაცუ (იაპონია). სამხტომი აქამდე მხოლოდ ვაჟთა პრივილეგიად ითვლებოდა. ახლა კი ამ სახეობაში სულ უფრო ხშირად ცდიან ძალას ქალები. ამას წინათ, იაპონიის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში სამხტომელ ნაზ არსებებს შორის ყველას ჩინელმა ლი ხუეიუნმა აჯობა — 14,04 მ. შეგახსენებთ, რომ არაოფიციალური რეკორდი დარბაზებისთვის საბჭოთა მძლეოსანს გალინა ჩისტიაკოვას ეკუთვნის — 13,98 მ. რაც შეეხება ვაჟთა მსოფლიო რეკორდს (ამერიკელი ვილი ბენქსი) იგი საგრძნობლად უფრო მაღალია — 17 მ. 97 სმ. მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს.

წელიწადის-მარათონი



ათენი. აქ ჩატარებული ქალთა საერთაშორისო მარათონული რბენის ტრასა ზუსტად იმეორებდა ლეგენდარული ბერძენი მეომრის გზას სოფელ მარათონიდან ათენამდე. შეჯიბრება მოიგო ფრუნზელმა ირინა ბოგაჩოვამ, რომელმაც მანძილი 2:43,37-ში დაფარა. ვაჟთა შორის პირველი ადგილი ინგლისელმა სტაიერმა კევინ ფლანაგანმა მოიპოვა — 2:25.14.

მინეაპოლისი (აშშ). გაიმართა კიდევ ერთი საერთაშორისო მარათონი, რომელიც ამერიკელმა მარტინ ფრელიკმა მოიგო — 2:10.59. ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ინსტიტუტი ეძებს შემოქმედებით კონტაქტებს

**ფიგურული** სრიალის მოყვარულებს კარგად ახსოვთ მისი გვარი... შემდეგ დიდხანს სპორტულ მედიცინას ემსახურებოდა. **გია იაშვილი** დღეს საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია და თავის, როგორც ხელმძღვანელის, გეგმებზე და ამოცანებზე გვესაუბრება.



● **საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ქვეყანაში დარგის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულებაა. რა როლს ასრულებს დღეს საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ეს ინსტიტუტი?**

— აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში სულ სამ ქალაქშია ფიზკულტურულ-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი — მოსკოვში, ლენინგრადში და თბილისში (შეიქმნა 1932 წ).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის სწორად შერჩევასა და მომზადებას. ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ატარებს ჩვენი ინსტიტუტი, რომლის მიზანია მწვრთნელებისათვის ზუსტი სამეცნიერო ინფორმაციის მიწოდება, სამეცადინო და სავარჯიშო პროცესებისადმი მეცნიერული მიდგომა.

ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე აქ არა ერთი საინტერესო მეთოდური რეკომენდაცია შემუშავდა, გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია ფიზკულტურისა და სპორტის აქტუალურ საკითხებზე; ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ნაშრომები გაიგზავნა საერთაშორისო ფორუმებზე და კონფერენციებზე (ოქსფორდში, პრაღაში, ბუქარესტში, მიუნხენში), დაიბეჭდა იაპონიაში და ავსტრიაში გამოცემულ კრებულებში.

დღესდღეობით ინსტიტუტში ოთხი განყოფილება და ერთი ლაბორატორია მუშაობს: 1. სპორტული მომზადების სამეცნიერო უზრუნველყოფის, 2. მასობრივი ფიზიკური კულტურის, 3. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგიისა და სამეცნიერო-ორგანიზაციული და საინფორმაციო-მეთოდური მუშაობის განყოფილება, აგრეთვე, ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობის შემსწავლელი ლაბორატორია. თითოეულ განყოფილებას მუშაობის საკუთარი სპეციფიკა აქვს. ახლა, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს, ბევრ რამეს სხვა თვალით დავუწყეთ ყურება, შეიცვალა ჩვენი მოღვაწეობის შეფასების კრიტერიუმიც. გუშინდელი ტემპები აღარ გვაკმაყოფილებს.

● **სოციოლოგიური განყოფილება ახსენეთ. რას ემსახურება იგი?**

— ეს განყოფილება, რომელიც წელს შეიქმნა ჩვენს ინსტიტუტში, ემსახურება საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სოციალური ასპექტების გამოკვეთას და სწავლობს შემდეგ პრობლემებს;

1. სოციალური ჯგუფების ჩაბმას ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში;

2. თავისუფალი დროის რა მონაკვეთს უთმობს მოსახლეობა ფიზკულტურასა და სპორტს;

3. სოციალური გარემოს მნიშვნელობა ფიზკულტურულ-სპორტული ორიენტაციის ფორმირებაში;

4. იმ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოსახლეობის დამოკიდებულებას ფიზკულტურისა და სპორტისადმი.

გამოკვლევებს ვაწარმოებთ როგორც ფიზკულტურულ და სპორტულ კოლექტივებში, ისე რესპუბლიკის მოსახლეობაში. წინასწარმა მონაცემებმა ამ გამოკვლევების პერსპექტიულობაში დაგვარწმუნა.

● **დღეს ვერც ერთი მეცნიერება ცალმხრივ, ასე ვთქვათ, სხვა მეცნიერებისაგან დამოუკიდებლად ვერ განვითარდება. ალბათ, თქვენი ინსტიტუტიც ეძებს კონტაქტებს...**

— რა თქმა უნდა, შემოქმედებითი კონტაქტების გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა მუშაობა. დღევანდელი სპორტი ხომ უდიდეს დატვირთვას მოითხოვს. სპორტსმენებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ ძალების ალსადგენად. აქ საჭირო ხდება როგორც სამედიცინო, ისე მეცნიერული ჩარევა. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა — საქართველოს სპორტსახკომის და ჯანდაცვის სამინისტროს შემოქმედებითი თანამშრომლობის საფუძველზე ყალიბდება სპორტსახკომის სამეცნიერო პრაქტიკული კომპლექსი, რომელიც გააერთიანებს საქართველოს ფიზიკური კულტურის კვლევით ინსტიტუტს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურის და სპორტული მედიცინის კათედრას და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპორტული მედიცინის კათედრას, აგრეთვე, რესპუბლიკის საექიმო ფიზიკური კულტურის დისპანსერს. ამ კომპლექსის შექმნით გადაილახა ეგრეთწოდებული საუწყებო ბარიერი. სპორტსახკომის და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლობა საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ სპორტსმენთა შესაძლებლობების მედიკო-ბიოლოგიური და პედაგოგიური შესწავლა. მიღებული შედეგები სპორტსმენის საწვრთნო პროცესის სწორად დაგეგმვაში დაგვეხმარება.

## მეცნიერება სპორტის სამსახურში

● **თანამედროვე მეცნიერების განვითარება ტექნიკის გარეშე წარმოუდგენელია. ამ მხრივ რა გიშლით ხელს მუშაობაში?**

— ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ამჟამად ძალიან ღარიბია. ახლახან სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტმა ჩვენს ინსტიტუტს გამოუყო ელექტროგამომთვლელი მანქანა „ისკრა—1030", სამამულო და იმპორტული წარმოების სამედიცინო ტექნიკა. იმედი გვაქვს, ამ მხრივ მომავალშიც დაგვეხმარებიან.

● **კომპიუტერს თუ იყენებთ?**

— დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული სპორტსმენის დატვირთვის რეგულირებას მისი ინდივიდუალური თვისებებისა და ფუნქციონალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, წვრთნის პროცესს მართვა სჭირდება, ამიტომ აუცილებელია კომპიუტერულ სისტემაზე გადასვლა. დღეს ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ეს გახლავთ. ჩვენმა ორმა თანამშრომელმა უკვე გაიარა კურსი მოსკოვის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის თბილისის ფილიალში და ეს საკითხიც, ალბათ, ახლო მომავალში დადებითად გადაწყდება.

● **თანამედროვე სპორტული მოძრაობა წარმოუდგენელია სპორტული ტრენაჟორების გარეშე. რაც დრო გადის, მათი რიცხვი თანდათან იზრდება, ძველი უფრო სრულყოფილი ხდება. მუშაობენ თუ არა ჩვენთან ტრენაჟორების შექმნაზე?**

—სპორტული მომზადების სამეცნიერო უზრუნველყოფის განყოფილება მუშაობს ტრენაჟორის შექმნაზე ტყვიის სროლაში. მისი პირველი ვარიანტი სკოლის მოსწავლეებს სროლაში მშდ ნორმატივების ჩაბარებაში დაეხმარება, ხოლო გაუმჯობესებული — გამოცდილ სპორტსმენებს მოემსახურება. მალე მზად იქნება ნიჩბოსნობის ტრენაჟორიც.

● **დღეს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვა. დევიზი „ფიზკულტურა ყველასათვის", ალბათ, მეცნიერების დახმარებასაც მოითხოვს...**

— ამ საკითხზე ჩვენს ინსტიტუტში მასობრივი ფიზიკური კულტურის განყოფილება მუშაობს. რესპუბლიკის „ჯანმრთელობის პროგრამის" მიხედვით დიდი მუშაობა ტარდება საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ეგრეთ წოდებული სამკურნალო ტრენაჟორების დასანერგად, ქართული ხალხური თამაშობების შესასწავლად: მნიშვნელოვანი საკითხია ინვალიდების სპორტში ჩაბმაც. ამ საქმეში ჩვენ ესტონელი კოლეგების გამოცდილებას ვიზიარებთ. იქ უკვე რამდენჯერმე ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები ინვალიდებს შორის. ახლახან ესტონეთიდან პროგრამებიც მივიღეთ...

განყოფილება მოსახლეობაში კუპერის ტაბელების გავრცელებაზე მუშაობს, ეს ტაბელი მათ იმის დადგენაში დაეხმარებათ, თუ რა ზომის დატვირთვა უნდა მიიღოს მოვარჯიშემ.

მასობრივი ფიზკულტურის პროპაგანდის მიზნით ვაპირებთ გამარჯვების პარკის ბიბლიოთეკაზე შეფობის აღებას. აქ მოეწყობა ლექტორიუმები, ლექციები, შეხვედრები სპორტის მოღვაწეებთან, ბიბლიოთეკას შევავსებთ სპორტული ლიტერატურით.

ამ საკითხების გადაჭრაში, ალბათ, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და ჩვენი ინსტიტუტის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგიის განყოფილების დახმარება დაგვჭირდება.

● **ინსტიტუტში, რა თქმა უნდა, გარკვეული მიზნებით და მისწრაფებებით მოხვედით. კონკრეტულად რას გვეტყოდით თქვენი, როგორც ხელმძღვანელის გადაუდებელ ამოცანაზე?**

— სპორტსმენს სრული უფლება აქვს უკმაყოფილო იყოს მეცნიერების დახმარებით. უკმაყოფილო სპორტსმენთა რიცხვს ერთ დროს მეც ვეკუთვნოდი.

ჩვენი მთავარი ამოცანაა მწვრთნელი ვაზიაროთ სპორტულ მეცნიერებას. ხშირად ხდება ასე: მწვრთნელი არ თვლის საჭიროდ სამეცნიერო-კომპლექსურ ჯგუფთან ერთად მუშაობას, რაც მის დაბალ პროფესიულ მომზადებაზე მიუთითებს. მეცნიერ-თანამშრომელი ხომ დამხმარე ინფორმატორია. იგი მწვრთნელს საწვრთნო პროცესების იმ მხარეებს აცნობს, რომელიც მისთვის საიდუმლოს წარმოადგენს. სპორტსმენებს უკვე ჩვეულებად ექცათ წარმატების შემთხვევაში გვერდი აგვიარონ, მარცხი კი ჩვენ გადაგვაბრალონ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა ორივე მხარეს სარგებლობას მოუტანს. ამიტომაა საქართველოს სპორტსახკომი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას რომ აქცევს სპორტული მეცნიერების განვითარებას, ეხმარება ინსტიტუტს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში.

ესაუბრა
**ნინო სიმონიშვილი.**

---

## საბავშვო ბაღიდან იწყება



**ზესტაფონის** რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის თავისებური დათვალიერებაა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც აქ სისტემატურად ტარდება ნორჩებისათვის ხელმისაწვდომ სპორტის სახეობებში და თამაშებში. განსაკუთრებული ინტერესით პატარები მაინც „მხიარული სტარტების" პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებს მოელიან ხოლმე. ეს ფოტოსურათიც, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სწორედ ამ ასპარეზობის ერთ-ერთ მომენტს ასახავს.

დღეს ასე ეყრება საფუძველი სპორტისადმი სიყვარულს, ხვალ კი...

# ოლიმპიელებს თბილისში გავიცნობთ

**ფალავანთა** კლუბში გამართულ კლასიკურ მოჭიდავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატის დღეებში საქართველოს ნაკრების ახალ უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ მიხეილ სალაძეს თვალი არ მოუცილებია საჭიდაო წრეში გამართული ორთაბრძოლებისთვის. განსაკუთრებული ყურადღებით ნაკრების კანდიდატებს აკვირდებოდა.

საქართველოს პირად პირველობაში მონაწილეობა არ მიუღიათ ჩვენი გუნდის ლიდერებს: მსოფლიო ჩემპიონს გურამ გედეხაურს, თენგიზ თედორაძეს, ზაურ ივანაშვილს. ისინი თავიანთი სპორტსაზოგადოებების ნაკრებ გუნდებში მიიწვიეს საკავშირო თასის გათამაშებისთვის მოსამზადებლად. ამავე მიზეზით სარბიელზე ვერ ვიხილეთ საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდში მიწვეული რამდენიმე ჩვენი მოჭიდავე.

ცამეტმა ათლეტმა პირველად მოიპოვა სპორტის ოსტატობა. ახალგაზრდა იმედისმომცემმა ფალავნებმა გაამართლეს მწვრთნელთა ვარაუდი. ზესტაფონელი მძიმე წონის ზაურ ცხადაძე საჭიდაო ლეიბზე ხელბურთიდან მოვიდა, თანაც ცოტა გვიან, მაგრამ ვფიქრობთ, მისგან კარგი ფალავანი დადგება.

ტურნირში თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, მახარაძის, ზესტაფონის, ცხაკაიას, რუსთავის, ჭიათურის, თერჯოლის, სამტრედიის, წყალტუბოსა და ბორჯომის 138 წარმომადგენელი ცდიდა ძალას. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ივანიშვილი (თბილისი, პროფკავშირები), მამუკა ბაბლუანი (თბილისი, „შრომითი რეზერვები"), თამაზ ყაზარაშვილი (თბილისი, ასკ), ლერი ტეტუნაშვილი (თბილისი, პროფკავშირები), რამაზ გუდაძე, კობა ოჩიგავა (ორივე — თბილისი, ასკ), ბეგი დარჩია (თბილისი, პროფკავშირები), ნაიბი დვალიძე (თბილისი, „შრომითი რეზერვები"), უშანგი თევდორაძე (თბილისი, პროფკავშირები), მათე სვანიძე („დინამო", ქუთაისი).

ტექნიკური ჭიდაობისათვის პრიზები მიიღეს ჩემპიონებმა: ოჩიგავამ, ყაზარაშვილმა და დვალიძემ. სხვათა შორის, თამაზ ყაზარაშვილი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თემურ ყაზარაშვილის ძმა გახლავთ.

დეკემბერში ბაქოში საკავშირო ზონალური შეჯიბრება გაიმართება. 1988 წლის იანვარში კი (19-24) თბილისი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს შეჯიბრება გენერალური რეპეტიცია იქნება სეულის ოლიმპიადაზე გამოსვლის პრეტენდენტთათვის — სწორედ აქ გამოვლინდებიან ოლიმპიური საგზურის მფლობელნი.

**გაბრიელ ბარჯაძე,**
სპორტის ოსტატი.

---

**ლახტის წრეში**

# შეხმატკბილებული საქმურები

**მივდიოდი** და თან გზაში ვფიქრობდი, ნეტა ვინ დაგვირეკა, შინდისის სპორტკომპლექსს მიხედეთო, ან რატომ დამალა თავისი ვინაობა?

ერთი წლის წინათ ვწერდით შინდისში უნიკალური კომპლექსი ააგეს და მეურნეობის ხელმძღვანელობა სპორტული მუშაობის სრულ გარდაქმნას გვპირდებოდა, ახლა კი...

სპორტულ კომპლექსს თვალი რომ გადავავლე, ისეთი აღარ მომეჩვენა, პირველად რომ ვნახე.

მეურნეობის დირექციაში ყველა დამიხვდა ფიზკულტურის მეთოდისტის გარდა. მეთოდისტი თავს მაინცდამაინც არ იწუხებს, ასე რომ შეიძლება სულაც არ მოვიდეს...

არც მეურნეობის ახალარჩეული დირექტორი ზაქარია კაპანაძე ჩანდა მისი მუშაობით კმაყოფილი.

ლოდინს ისევ მეორე დილით ამოსვლა ვარჩიე, დირექტორი შემპირდა აუცილებლად შეგახვედრებთო.

გაფრთხილების მიუხედავად, მეთოდისტი მაინც არ დაგვხვდა ადგილზე. შინიდან მოიყვანეს.

ამასობაში სპორტული კომპლექსი ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვიარეთ. წყალდიდობის ავი კვალი შერჩენოდა პირუტყვის ნაფეხურებით იყო იქაურობა გადათელილი.

გასახდელებშიც შევიხედეთ. — ნაგავი, ნაგავი და ისევ ნაგავი. ახლა მსჯთა დამტვრეული მაგიდები... მინიფეხბურთის მინდორი მთლიანად სარეველა ბალახს დაუფარავს.

ნუთუ ფიზკულტურელებს არ შეეძლოთ შაბათობა მაინც მოეწყოთ სპორტული ბაზების დასასუფთავებლად და მოსაწესრიგებლად?

გადავხედეთ ფიზკულტურის მეთოდისტის დავთრებსაც, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ამოვიკითხეთ. სექციები, როგორც ჩანს, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ერთ-ერთი „ჩატარებული" ღონისძიების თარიღად მეთოდისტმა ჩემს თვალწინ დაბვა ციფრი „13". საუბარში გაირკვა, რომ მან ისიც კი არ იცის, როგორ ბარდება მშდ-ს ნორმატივები. თუმცა თავად ირწმუნება, რომ მუშაობაში სამდურავი არ ეთქმის.

— გამაჯანსაღებელ ჯგუფებზე, სირბილის მოყვარულთა კლუბზე რას გვეტყვით? — ვეკითხები. მან პასუხად დუმილი არჩია.

მეთოდისტი თავის დამსახურებად თვლის ქართული ჭიდაობის საღამოების გამართვას და ავიწყდება, რომ ასეთი საღამოები დაგეგმილად თუ სტიქიურად გორის რაიონის თითქმის ყველა სოფელში იმართება. ასეც რომ არ იყოს — ქართული ჭიდაობის უპირველესი ფალავანი სოფელ შინდისში გამოჩნდეს, ეს აქაურთა სპორტის სხვა სახეობებში ჩავარდნას მაინც ვერ გაამართლებს.

მეთოდისტი გოჩა ნადირაძე, რომელსაც 200-საათიანი კურსი გავლილია, საქმეს რაიონის სპორტის ხელმძღვანელების, ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარების გარეშე „მართავს". მუშაობაში აღმოჩენილ ნაკლოვანებებს იმით ხსნის, რომ კოლექტივში ახლახან მოვიდა. ის კი ავიწყდება, რომ შვიდი თვის მანძილზე ბევრის გაკეთება უნდა მოესწრო.

**ილია თევდორაშვილი,**
„ლელოს" კორ.

გორი.

## უკაცრავად, შეგახსენებთ!

მიმდინარე წლის 16 აგვისტოს „ლელოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „ჯერ საქმე გაცფუჭეს, მერე იჩივლეს". პუბლიკაციაში ლაპარაკი იყო ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის სპორტული კომპლექსის სავალალო მდგომარეობაზე და მეთოდისტის უსაქმურობაზე. რედაქციას პასუხი დღემდე არ მიუღია.

უკაცრავად, შეგახსენებთ!

ტურნირის ექო

# ერთი შეცდომის ფასი

**ᲗᲡᲝᲤᲚᲘᲝ** თასის გათამაშება სროლაში თავისთავად დიდი და პრესტიჟული ტურნირია, წლევანდელი შეჯიბრება კი საერთაშორისო ფედერაციამ ოლიმპიურ კვირეულს დაამთხვია და ამით მისი ავტორიტეტი ერთიორად გაზარდა. სეულში ჩატარებულმა ამ შეჯიბრებამ სპეციალისტთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და არც თუ უსაფუძვლოდ. ოლიმპიადის წინა წელს სპორტსმენები ცდილობენ თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ და თავისებური გენერალური რეპეტიციაც გაიარონ.

მრგვალ სტენდზე, სასროლი სპორტის ამ ურთულეს სახეობაში, საბჭოთა კავშირის ნაკრები სამი უძლიერესი სნაიპერით იყო წარმოდგენილი. სამივე — თბილისელი თამაზ იმნაიშვილი, ბაქოელი ვალერი ტიმოხინი და რიგელი ბორის ტიმოფეევი, ცხადია, საპრიზო ადგილის დაკავებას ვარაუდობდა. ასეთი სურვილებით ჩამოვიდნენ მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში ამერიკის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, შვეციის, დანიისა და სხვა ქვეყნების მსროლელებიც.

**⊙ მაგრამ ფავორიტები, ალბათ, პრეტენდენტთა ამ მრავალრიცხოვან ჯგუფსაც ჰყავდა, — ვკითხეთ თბილისში დაბრუნებულ ქართველ სპორტსმენს.**

— გამოკვეთილი ლიდერის დასახელება ჩვენს სახეობაში საერთოდ ძნელი საქმეა. დღესდღეობით ვიცნობ ათ-თხუთმეტ მრგვალ სტენდზე მსროლელს, რომლებსაც ოქროს მედლის მოპოვება ნებისმიერ ტურნირში შეუძლიათ. არც ერთი მათგანის გამარჯვება ამჯერად მოულოდნელი არ იქნებოდა.

**⊙ რით უნდა ავხსნათ ეს?**

— პროგნოზირება სპორტის ნებისმიერ სახეობაში შეიძლება და ჩვენი სპეციალისტებიც მიმართავენ ხოლმე მას, როცა საჭიროა. მაგრამ სროლაში ბევრი რამ გარეშე პირობებზეა დამოკიდებული. სამი დღის განმავლობაში დილიდან საღამომდე ცეცხლის ხაზზე ვართ. ადამიანი კი, მოგეხსენებათ, არ არის მანქანა. ყოველდღე ერთნაირ გუნებაზეც ვერ გაიღვიძებ. არადა შეჯიბრების დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ამოვარდება უცბათ ქარი, ან სროლის წინ სტენდზე თვითმფრინავი გადაიფრენს... ეს კი არა, თვალიც რომ სხვაგვარად დაახამხამო, ისიც დაეტყობა შედეგს. ამიტომ ყოველმხრივ უნდა ეცადო, რომ სამი დღის განმავლობაში ერთნაირი ემოციური დატვირთვა გქონდეს.

**⊙ ახლა დღეში არიან, ალბათ, სროლის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც.**

— თქვენ წარმოიდგინეთ, მთლად ასე არა. ტყვიის სროლაში, მაგალითად, გამოხვალ ცეცხლის ხაზზე და ყველაფერი შესაძლოა ერთ საათში მოამთავრო. ერთ საათში შეიძლება გახდე ჩემპიონი. ჩვენ კი ამისთვის სამი დღის განმავლობაში ნერვების წყვეტა გვიხდება.

**⊙ როგორ წარიმართა ბრძოლა ამჯერად?**

— პირველი დღის შემდეგ ფრანგი ლაფრანჩი დაწინაურდა. მან ყველა სამოცდათხუთმეტი სამიზნე დააზიანა. მე ორი გასროლა მიზანს ავაცდინე. მეორე დღეს ორთავემ 74-74 სამიზნე დავამსხვრიეთ. პირველი დღის ორქულიანი სხვაობა ძალაში დარჩა.

**⊙ სხვები როგორღა ისროდნენ?**

— მესამე დღეს მეცა და ფრანგმა მსროლელმაც 50-50 სამიზნე დავაზიანეთ, მაგრამ ამასობაში წამოგვეწიენ ტიმოხინი, გდრ-ის წარმომადგენელი ჰოჰფელდი. მესამე დღის ძირითადი სროლების შემდეგ ფრანგს გაუხდა 199 ქულა, ტიმოხინს — 198, მე და ჰოჰფელდს — 197-197 ქულა ორასიდან.

**⊙ მაგრამ შეჯიბრება ჯერ ხომ არ იყო დამთავრებული?**

— ახალი, ოლიმპიური წესების თანახმად ძირითადი სერიების შემდეგ ექვს უძლიერეს მსროლელს კიდევ ერთი, 25 გასროლიანი დამატებითი სერია ეძლევა. ამას სუპერფინალს უწოდებენ.

**⊙ რა მიზანს ისახავს სუპერფინალი?**

— ეს სიახლე უმთავრესად ტელევიზიისთვის შემოიღეს. იმისათვის, რომ ტელემაყურებლებს ბრძოლის მთლიანი სურათი შეუქმნან. ოლიმპიადის დღეებში სამი დღით ცისფერ ეკრანს არავინ დაგითმობს. სუპერფინალის 25-25 გასროლა კი, რომელშიც ექვსი უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობს, ერთ საათში შეიძლება მომთავრდეს. ასე რომ, ახლა გამარჯვებული 200 კი არა, 225 გასროლის შემდეგ ვლინდება.

**⊙ თუ მოხდა რაიმე საინტერესო სუპერფინალში?**



— მე ყველა სამიზნე დავამსხვრიე, ტიმოხინმა და გერმანელმა თითო „ტყვია“ დააცილეს, ლაფრანჩს კი სამი შეცდომა მოუვიდა. საბოლოოდ მე და ტიმოხინმა 222-222 ქულა დავაგროვეთ, ახალი წესების თანახმად, ეს ჩემს გამარჯვებას ნიშნავდა, ვინაიდან სუპერფინალში უკეთესი შედეგი მქონდა. მაგრამ მსაჯებმა გერმანელს შეცდომით ერთი ქულა მიუმატეს და ამან ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

**⊙ ნუთუ ამ შეცდომის გაპროტესტება არ შეიძლებოდა?**

— პროტესტს, ცხადია, დავწერდით, ასეთი რამ ადრეც მომხდარა. შეცდომის დამშვებ მსაჯს მოხსნიდნენ კიდეც, მაგრამ შედეგს აღარაფერი ეშველებოდა. ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჟიურის მსაჯის გადაწყვეტილება შეეცვალა. ამიტომაც მცირედი თათბირის შემდეგ პროტესტზე უარი ვთქვით. ადგილები საბოლოოდ ამ ტურნირში ასე განაწილდა: პირველი — გერმანელს, მეორე — მე, მესამე — ტიმოხინს. ქულები ყველას ერთნაირი გვქონდა.

**⊙ როგორ შეხვდა თვით გერმანელი სპორტსმენი მსაჯთა ამ უსამართლო გადაწყვეტილებას?**

— სუპერფინალის შემდეგ ყველა კონკურენტმა, მათ შორის გერმანელმაც, პირველი ადგილი მომილოცა. მერე კი, როცა გამარჯვებულად ის გამოაცხადეს, მხრები აიჩეჩა, აქაოდა ჩემი ბრალი არ არისო. მართლაც მსაჯების შეცდომა მისი რა ბრალი იყო?

---

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**11 ოქტომბერს** თბილისის „დინამომ“ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მეოთხედფინალური მატჩი ჩაატარა მოსკოვის „სპარტაკთან“. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მატჩს დაესწრო 13 ათასი მაყურებელი. გუნდების შემადგენლობანი:

„სპარტაკი“ — ჩერჩესოვი, სუროვი, სუსლოპაროვი (ბ. კუზნეცოვი, 35), ბოკი, ბუბნოვი, მიტინი, ე. კუზნეცოვი (შიკუნოვი, 80), პასულკო, შმაროვი, ჩერენკოვი, მესხი (კაპუსტინი, 106).

„დინამო“: ჭანტურია, ფირცხალავა, თეთრაძე, სვანაძე, ჩხაიძე, რევიშვილი (წიკლაური, 86), გუბაზი, თედეევი, კორძალიძე, ჯიშკარიანი, აჯოევი.

გოლები: შმაროვი (63), გუბაზი (72), ჩერენკოვი (105, პენალტით). მსაჯი [illegible].

13 ოქტომბერს ჩატარდა ფედერაციის თასის ნახევარფინალისტთა წილისყრა. ერთმანეთს შეხვდებიან: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „ნეფთჩი“ (ბაქო) — „მეტალისტი“ (ხარკოვი). თამაშები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე 25 ოქტომბერს. ფედერაციის თასის ფინალი ჩატარდება 21 ნოემბერს.

* * *

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ** დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გააფრთხილეს ალეინიკოვი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო და რაცი (სსრ კავშირი), აგრეთვე, დეშნერი (გდრ).

## II ლიგა

12 ოქტომბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლოსწინა ტურის მატჩები: „მეშახტე“ (ტყიბული) — „ვოსხოდი“ (სუმგაითი) 3:2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 5:3, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 2:1, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:3, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „დილა“ (გორი) 2:1, „ოლიმპია“ (ლენინაკანი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 3:1. გადატანილია ყაზახის „გოიაზანისა“ და კიროვაკანის „ლორის“ შეხვედრა.

15 ოქტომბერს შედგება ზონის ბოლო, 30-ე ტურის შეხვედრები: „მეშახტე“—„კოლხოზჩი“, „ლოკომოტივი“—„ვოსხოდი“, „დინამო“ — „ქიაფაზი“, „კოლხეთი“ — „ყარაბახი“, „ავტომობილისტი“—„ლორი“, „გოიაზანი“ — „მეტალურგი“, „სპარტაკი“ — „შევარდენი“-სპი, „ოლიმპია“ — დილა“.

**II ლიგა, IX ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ.“ | 29 | 18 | 4 | 7 | 43-24 | 40 |
| „დინამო“ | 28 | 15 | 7 | 6 | 49-30 | 37 |
| „შევ.“ სპი | 29 | 14 | 4 | 11 | 51-37 | 32 |
| „ვოსხოდი“ | 29 | 14 | 3 | 12 | 39-35 | 31 |
| „ქიაფაზი“ | 29 | 13 | 5 | 11 | 55-42 | 31 |
| „კოლხეთი“ | 29 | 13 | 5 | 11 | 42-34 | 31 |
| „მეტალურ.“ | 29 | 13 | 3 | 13 | 35-33 | 29 |
| „დილა“ | 29 | 12 | 5 | 12 | 39-37 | 29 |
| „ლორი“ | 28 | 13 | 2 | 13 | 32-30 | 28 |
| „ოლიმპია“ | 29 | 12 | 4 | 13 | 40-41 | 28 |
| „სპარტ.“ | 28 | 12 | 3 | 13 | 40-42 | 27 |
| „ყარაბახი“ | 29 | 12 | 3 | 14 | 31-45 | 27 |
| „მეშახტე“ | 29 | 10 | 7 | 12 | 35-42 | 27 |
| „კოლხოზჩი“ | 29 | 8 | 6 | 15 | 26-41 | 22 |
| „გოიაზანი“ | 28 | 9 | 3 | 16 | 24-46 | 21 |
| „ავტომობ.“ | 29 | 8 | 4 | 17 | 36-55 | 20 |

**ანტისადოპინგო კონტროლი**

როგორც შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დევიდ უილმა განაცხადა, ამიერიდან შოტლანდიის ლიგის მატჩებში შემოღებული იქნება ანტისადოპინგო კონტროლი.

— ჩვენ არ მიგვიღია ცნობა შოტლანდიურ ლიგაში დოპინგის გამოყენების შესახებ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა — დასძინა პრეზიდენტმა.

**2002 წელს?**

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ იგი



აპირებს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას... 2002 წელს! როგორც ცნობილია, 1930 წელს სწორედ ურუგვაიში ჩატარდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი. მაშინ მასპინძლებმა ფინალში არგენტინელები დაამარცხეს (4:2) და ჩემპიონობა მოიპოვეს.

---



# მესამე რაუნდი საჭირო აღარ გახდა

(დასასრული)

ძნელი და უკომპრომისო ბრძოლის მოგება ქვეყნის ცხრაგზის ჩემპიონთან.

ამ დაუვიწყარმა მატჩმა კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერა ქართული სპორტის მატიანეში.

მატჩის მოახლოებასთან ერთად დაძაბულობა საოცრად იზრდებოდა. სპეციალისტები ვარაუდის გამოთქმას ერიდებოდნენ. გუნდების მწვრთნელებმა კი აბეზარნი ორიოდე სიტყვით „მოიგერიეს“.

დუგლას კავთელაშვილი: თუ დღეს წავაგებთ, მესამე შეხვედრაში წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია“.

ევგენი ანტონოვი: „ეს უკვე მეტისმეტია. სსა-ს ერთ გუნდთან ზედიზედ სამი მატჩი არასოდეს წაუგია. ამიტომ აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. საბრძოლველად მზად ვართ. გვჯერა, რომ ახალი ჩემპიონი მხოლოდ 14 ოქტომბერს გამოვლინდება“.

ღელავდნენ ქართველ რეგბისტთა ქომაგები, ღელავდნენ მონინოელთა გულშემატკივრებიც და ალბათ... მსაჯებიც, რადგან გრუმბინასმა ექვსი წუთით გვიან დაიწყო მატჩი.

თამაში მონინოელებმა დაიწყეს, მაგრამ ბურთს მყისვე ქუთაისელი რეგბისტები დაეუფლნენ და პირველი შეტევა ხამაშურიძემ 35 მეტრიდან საჯარიმოს დარტყმით გატანილი გოლით დააგვირგვინა — 3:0.

ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა. მასპინძლები აფორიაქდნენ. ნერვიულობენ ქუთაისელებიც და თამაშგარე მდგომარეობის წესს არღვევენ. ბობროვი საჯარიმოთი ანგარიშს ათანაბრებს — 3:3.

თამაში კიდევ უფრო იძაბება. მორკინალები ტოლს არ უდებენ ერთმანეთს. ბურთი იშვიათად აღწევს სამმეოთხედელებამდე. მალე ჩვენებს ეძლევათ დაწინაურების შანსი, მაგრამ ხამაშურიძე მოედნის შუა ხაზიდან ამჯერად არაზუსტად ურტყამს.

მონინოელები გონს მოდიან, შეტევას იწყებენ, მაგრამ ქუთაისელები ყურადღებით და თავგანწირვით თამაშობენ დაცვაში, მეტოქეს თავიანთი ლელოსკენ არ უშვებენ. თითქოს ფრედ უნდა დამთავრდეს პირველი ტაიმი, მაგრამ აი, ხარშილაძის წამოწყებული სწრაფი კომბინაციის ჩამლა სტუმრებს საჯარიმოს ფასად უჯდებათ და ხამაშურიძე ისევ ზუსტად ურტყამს — 6:3.

მეორე ტაიმიც სტუმართა იერიშებით იწყება. ისევ საჯარიმო, მაგრამ ხამაშურიძეს კვლავ უცუდდება დარტყმა. ბრძოლა მწვავდება. ლილუაშვილის გარეშე უჭირთ მორკინალებს და მწვრთნელებს მოედანზე შერკინების ლიდერი გამოჰყავთ. დროული შეცვლაა. სტუმრები უპირატესობას ეუფლებიან და ახალბედა მაჩიტიძე, ისე, როგორც ქუთაისში, აქაც ოსტატურად ურტყამს არეკნით — 9:3.

მასპინძლებს უკანდასახევი გზა აღარ აქვთ, თამაშში გარდატეხის შეტანას ცდილობენ, მაგრამ მეტისმეტი მოსდით. უხეშობისათვის ტიხონოვსა და ნემსიწვერიძეს გრუმბინასი მოედნიდან აძევებს.

დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. რომანოვს ლელო გააქვს, მაგრამ გამოცდილი ბობროვი ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ ურტყამს კარში და ანგარიშის გათანაბრების რეალურ შანსს ხელიდან უშვებს — 9:7.

ქუთაისელები კვლავ აქტიურდებიან. მასპინძლები ძლივს ახერხებენ ობოლაძის, ტურძელაძისა და ნაჭყებიას მიერ გათამაშებული კომბინაციის ჩაშლას, მაგრამ ქართველ რეგბისტებს მაინც გააქვთ ლელო: შერკინებიდან ფრანცუზოვ ბურთი არასწორად გამოაქვს. მას ეუფლებიან ქუთაისელები და ფხაკაძეს თავგანწირული ნახტომით ბურთი მეტოქის ლელოში შეაქვს — 13:7.

მონინოელები ბედს ურიგდებიან. ქუთაისელები კვლავ უტევენ, მაგრამ ძოწენიძის სახიფათო გარღვევის შემდეგ გრუმბინასის სასტვენის ხმა გაისმის და მთავრდება მატჩი, რომელმაც ამდენი სიხარული მოუტანა სპორტის ქართველ გულშემატკივრებს.

ამ მატჩს, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრჯერ დავუბრუნდებით, ახლა კი დავსძენთ, რომ ქების ღირსნი არიან არა მარტო ის მოთამაშენი, რომლებიც სუპერფინალურ სერიაში მონაწილეობდნენ, არამედ ისინიც, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ამ მატჩებს გამოაკლდა. დიახ, ქართველ რეგბისტთა ამ დიდ გამარჯვებას სხვებთან ერთად სჭედდნენ ძაგნიძე, გაბრიჭიძე, წიწვიძე, თხელიძე. ზარაქალა მათ, სახელოვან ქუთაისელ რეგბისტებს!

---

# სტუმარი—საპრიზო სამეულში

**ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ** თბილისის უფროსი ასაკის მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში.

ჭაბუკთა ტურნირში 15 მოჭადრაკე ჩაება (აქედან 7 ოსტატობის კანდიდატი).

12 ქულით I ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა 175-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასელმა, ოსტატობის კანდიდატმა ბაკურ თავაძემ (მწვრთნელი ალექსანდრე იზვოზჩიკოვი).

11,5-11,5 ქულით II-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა, კიეველმა დიმიტრი ჯანგობეგოვმა და თორნიკე კერძაიამ. უკეთესი კოეფიციენტის გამო II ადგილი დ. ჯანგობეგოვს ერგო.

გოგონათა ასპარეზობაში 16 მონაწილე იყო, მათგან 9 ოსტატობის კანდიდატი. აქ 12,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა 181-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე იამზე თვაური (მწვრთნელი ვლადიმერ ურიდია), II ადგილზე — ოსტატობის კანდიდატი მირანდა თავაძე (12 ქულა), ხოლო მესამეზე — ოსტატობის კანდიდატი ნინო ქევხიშვილი (11,5 ქულა).

აღსანიშნავია, რომ 24-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლემ ნატო ეძგვერაძემ (მწვრთნელი გიორგი ზომერიკი) ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა.

# ანატოლი კარპოვის პრესკონფერენცია

დასასრული

მარებით შევიმუშავეთ ერთიანი გეგმა. საბჭოთა სპორტკომიტეტის დავალებით მე გავემგზავრე ფიდე-ს კონგრესზე და წამოვაყენე წინადადება იმის თაობაზე, რომ თუ არ შედგებოდა მატჩები კასპაროვ-კორჩნოისა და სმისლოვ-რიბლის შორის, უარს ვიტყოდი ჩემი წოდების დაცვაზე. რაც შეეხება წიგნში კასპაროვის მტკიცებას, რომ სპორტკომიტეტი მას ხელს უშლიდა, მე ვამბობ და ეს ბევრმა იცით, კასპაროვი ერთადერთი საბჭოთა მოჭადრაკე იყო, რომელსაც 12 წლის ასაკში ჰყავდა ორი მწვრთნელი და ეს ორი მწვრთნელი მხოლოდ მასთან მუშაობდა. კასპაროვი ერთადერთია საბჭოთა სპორტის ისტორიაში, რომლისთვისაც გაიღეს უდიდესი თანხა ჯარიმის სახით — 160 ათასი დოლარი, რათა შემდგარიყო ჩაშლილი მატჩი კორჩნოისთან.

კარპოვმა პრესკონფერენციაზე შემდეგ აღნიშნა, რომ წიგნში საუბარია მხოლოდ იმაზე, რაც კასპაროვს ხელს აძლევს, ამასთან კრიტიც არაა დაძრული სხვა ფაქტებზე. ჩვენს ქვეყანაში ბევრმა იცის, და ეს სრულ სინამდვილეს შეეფერება, რომ ლენინგრადის მატჩ-რევანშის დროს, როცა კასპაროვმა სამი პარტია წააგო ზედიზედ, დასახმარებლად მოიწვია ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ფსიქოლოგი დადაშევი. შემდეგ გაირკვა, დადაშევი წინა მატჩებშიც ეხმარებოდა კასპაროვს, იგი ამაყობდა კიდეც, რომ დიდი წვლილი შეიტანა კასპაროვის გამარჯვებაში.

შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს ამ მატჩის თაობაზე, კარპოვმა თქვა: მე დარწმუნებული ვარ ჩემს ძალაში, ხოლო რაც შეეხება სამატჩო განწყობილებას, ერთი რამ შემიძლია თამამად ვთქვა: მატჩი მეტად საინტერესო და დაძაბული იქნება.

დიახ, ჯერ კიდევ მატჩამდე სევილიაში მდგომარეობა მართლაც საკმაოდ დაიძაბა. პირველი ორი პარტიის კომენტარისათვის აქ მოწვეულია მსოფლიოს ექსჩემპიონი ბორის სპასკი. ჩემთან საუბარში მან თქვა: ბოლო წლების უძლიერეს მოჭადრაკედ და ყველა დროის უდიდეს მსოფლიო ჩემპიონად ვთვლი ანატოლი კარპოვს. და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მან ეს მატჩი უნდა მოიგოს. წინა მატჩში კარპოვის მარცხს სპასკი ხსნის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და შიშით, რომელიც, მისი აზრით, დაეუფლა კარპოვს. სპასკიმ დასძინა, რომ კარპოვს ეხლა არაფერი აქვს დასაკარგავი და ის გაცილებით უკეთ ითამაშებს. შეეხო რა კასპაროვს, მან აღნიშნა, რომ წიგნის გამოშვებაც კი მის ნერვიულობაზე და აღელვებაზე მეტყველებს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მატჩის წინა დღეებში სიტუაცია კარპოვის სასარგებლოდ შეტრიალდა.

საინტერესო პარალელი გაავლო სპასკიმ მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის მისი დროისა და დღევანდელ მატჩებს შორის. მე და პეტროსიანს შორის, როდესაც ჩვენი მატჩის პირობებს ხელი მოვაწერეთ, შეთანხმება გადაწყდა რაღაც წამებში. მატჩის პერიოდში ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. პარტიის დამთავრების შემდეგ ბევრჯერ ერთად ვიწყებდით გარჩევა-ანალიზს. რაც შეეხება დღევანდელ მატჩებს, მხოლოდ კასპაროვ-კარპოვის მატჩი არ მაქვს მხედველობაში, მათი პირობების შემუშავებისათვის საჭიროა ფიდე-ს კონგრესები და უამრავი კონსულტაციები. ხოლო მოწინააღმდეგეების ურთიერთობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ალბათ ეს ყველაფერი ან დრომ ან ცხოვრებამ მოიტანა. თუმცა, ტახტისათვის ბრძოლა ყოველთვის უშეღავათო იყო.

მაშ ასე, კასპაროვმა და კარპოვმა ერთმანეთში 101-ე პარტია გაითამაშეს და ამით გახსნეს ახალი მატჩი. მინიმალური უპირატესობა ჯერჯერობით დღევანდელი მსოფლიო ჩემპიონის მხარესაა. ვნახოთ რა სიახლეს მოგვიტანს 1987 წლის ბოლო თვე.

• • •

ახლა კი ისევ პირველ პარტიას დავუბრუნდეთ. მსოფლიო ჩემპიონმა თავისი საყვარელი გრიუნფელდის დაცვა აირჩია და შუა თამაშში პერსპექტიული პოზიცია მიიღო ლაზიერის ფრთაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, გამარჯვებისათვის უკეთესი სვლა ვერ იპოვა, რადგან კარპოვიც უშეცდომოდ თამაშობდა. საბოლოოდ ყაიმი მატჩის მეორე პარტია რეგლამენტით დღეს, 14 ოქტომბერს უნდა გაიმართოს, სადაც თეთრებით კასპაროვი ითამაშებს.

გთავაზობთ პირველ პარტიას.

**ა. კარპოვი — გ. კასპაროვი**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. g3 c6 4. მf3 კg7 5. კg2 d5 6. cd cd 7. მc3 0-0 8. მe5 e6 9. 0-0 მfd7 10. f4 მc6 11. კe3 მb6 12. კf2 კd7 13. e4 მe7 14. მ:d7 ლ:d7 15. e5 ეfc8 16. ეc1 კf8 17. კf3 ეc7 18. b3 ეac8 19. ლd2 მc6 20. ლb2 a6 21. კe2 ლe7 22. მb1 მb4 23. მc3 მc6 24. მb1 მb4 25. ეc5 მd7 26. ე:c7 ე:c7 27. მc3 მc6 28. მb1 მb4 29. მc3 მc6 30. მb1. ყაიმი.

„ლელოს" პრიზზე

# მომავალ პერსპექტივებზე

დოსააფის ცენტრალური კომიტეტის საკავშირო სპორტულ კალენდარს კიდევ ერთი ასპარეზობა დაემატა — ავტომოდელისტთა საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" პრიზზე.

„ჩემის აზრით, ამ შეჯიბრების საკავშირო კალენდარში შეტანა ძალზე კარგი საქმეა — გვითხრა საქართველოს ავტომოდელისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა თენგიზ ლატარიამ — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სპორტსმენებს ოსტატობის ამაღლების კიდევ ერთი საშუალება მიეცათ, რადგანაც ეს მხოლოდ საკავშირო მასშტაბის ასპარეზობაზეა შესაძლებელი. გარდა ამისა, ეს ძალზე ხელსაყრელია ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებისათვის, ოქტომბერში ავტომოდელისტთა სპორტული სეზონი დასასრულს უახლოვდება, ნაკლებად ტარდება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებები და ჩვენ იძულებული ვიყავით სხვა რესპუბლიკების მიერ მოწყობილ ასპარეზობებში მიგვეღო მონაწილეობა. ის ფაქტი,



რომ „ლელოს" პრიზის პირველ გათამაშებაში არც თუ ბევრი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, სრულებით არ ნიშნავს ამ შეჯიბრების იგნორირებას. ეს პრიზი ამიერიდან ტრადიციულად გათამაშდება და დარწმუნებული ვარ, მონაწილეთა რაოდენობა თანდათან გაიზრდება".

ასპარეზობაში თბილისის ნაკრების გარდა მონაწილეობდნენ ბათუმის, უკრაინის სსრ ქალაქ ხმელნიცკის წარმომადგენლები, ვილნიუსელი სპორტსმენები და ერთი ლენინაკანელი ავტომოდელისტი. ფავორიტად თავიდანვე თბილისის ძლიერი ნაკრები იყო მიჩნეული და საბოლოოდ გუნდური პირველი ადგილიც სწორედ მან მოიპოვა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ასპარეზობის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე დაბრუნდნენ რუმინეთიდან, სადაც „ოქროს დგუშის" პრიზის ტრადიციულ გათამაშებაზე იყვნენ მოწვეულნი. 7 — პირველი, 2 — მეორე და 1 — მესამე ადგილები ავტომოდელების რვა კლასში — ასეთი იყო ჩვენი მემოდელეების შედეგი ამ შეჯიბრებაზე. ვერაფერს იტყვი, საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვებაა. მანამდე კი საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა საკავშირო ჩემპიონატში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის წარმატებები, რომელსაც სისტემატურად აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის ავიამოდელისტები, მხოლოდ თავად მათი და გუნდის მწვრთნელის თენგიზ ლატარიას ენთუზიაზმის, საქმის ფანატიკური სიყვარულისა და ერთგულების შედეგია. სწორედ ამიტომაც, საჭიროა მეტი ყურადღება და ხელშეწყობა როგორც დოსააფის, ასევე მთელი რიგი დაწესებულებების მხრიდან, რომლებსაც შეუძლიათ ქმედითი დახმარება გაუწიონ სპორტის ამ ლამაზ, აზარტულ და რაც მთავარია, საჭირო სახეობას, რათა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები მომავალშიც ყველა რანგის ასპარეზობის ფავორიტად ითვლებოდეს. და კიდევ ერთი: მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ავტოსამოდელო სპორტის პროპაგანდას. „ლელოს" პრიზის გათამაშების დებულების ერთ-ერთი მუხლი კი სწორედ ამას ითვალისწინებს.

გიორგი ქორქია.

შედეგები

**საკორდო მოდელები:**

**ე-1 კლასი:** 1. მ. შტეფკო (ხმელნიცკი); 2. ლ. პოლოსიანი (ბათუმი); 3. ნ. ოსინოვსკი (თბილისი).

**ე-2 კლასი:** 1. ა. კოსტოჩკა (ხმელნიცკი); 2. მ. შტეფკო; 3. ო. ჩილიჯიანი (ბათუმი).

**ე-3 კლასი:** 1. დ. კობახიძე, 2. გ. უთრუგაშვილი; 3. ვ. სოზაშვილი (სამივე თბილისი).

**ე-4 კლასი:** 1. ი. სვანიძე (ბათუმი; 2. ა. ზურაბიშვილი; 3. ე. ქვრივიშვილი (ორივე თბილისი).

**კ-1 კლასი:** 1. თ. მარდალეიშვილი (ბათუმი); 2. ხ. მალხასიანი (ლენინაკანი); 3. ი. ჩილიჯიანი (ბათუმი).

**კ-2 კლასი:** 1. ო. ჩილიჯიანი, 2. ჯ. ჩილიჯიანი (ორივე ბათუმი); 3. დ. ნევმივაკო (ხმელნიცკი).

**რადიოსამართავი მოდელები:**

**რცე კლასი:** 1. ა. გალუსტიანი; 2. ბ. შუმანი; 3. ვ. გალუსტიანი (სამივე თბილისი).

**რცბ კლასი:** 1. ა. გალუსტიანი (თბილისი); 2. რ. მიხნიავიჩუსი (ვილნიუსი); 3. ვ. ერისთავი (თბილისი).

**ფ-1 კლასი:** 1. ვ. კოროტკი (ხმელნიცკი); 2. შ. თევდორაშვილი (თბილისი).

**ფ-2 კლასი:** 1. ჯ. ვისოცკასი (ვილნიუსი), 2. ბ. შუმანი (თბილისი).

**გუნდური:** 1. თბილისი; 2. ბათუმი; 3. ხმელნიცკი.



# თბილისელ ვეტერანთა გამარჯვება

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე ჩატარდა ხუთი ქალაქის ვეტერანთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც ადგილობრივი გუნდის გარდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ოდესის კოლექტივები მონაწილეობდნენ. თბილისის ტურნირი რიგით მეოთხე ამდაგვარი შეჯიბრება გახლდათ. პირველი ორი ასპარეზობა უკრაინის დედაქალაქის წარმომადგენლებმა მოიგეს, მესამე — ლენინგრადელებმა, მეოთხე კი თბილისის გუნდის გამარჯვებით აღინიშნა. მასპინძელთა გუნდმა დაამარცხა ოდესის ნაკრები — 63:42, მოსკოვისა — 79:70 და ლენინგრადის კალათბურთელები — 79:73. ერთი შეხვედრა — კიეველებთან ფრედ (47:47) დამთავრდა. გათამაშებაში II ადგილი უკრაინის დედაქალაქის კალათბურთელებმა დაიკავეს, III — ლენინგრადელებმა, IV — მოსკოველებმა. აღსანიშნავია, რომ გუნდების ღირსებას ბევრი, წარსულში ცნობილი კალათბურთელი იცავდა, მათ შორის სპორტის დამსახურებული ოსტატები ალექსანდრე ბოლოშევი, იური კორნეევი (ორივე — მოსკოვი), ოლეგ კუტუზოვი (ლენინგრადი), გენადი ჩეჩურა (კიევი) და სხვები.

**სურათზე:** ვეტერან კალათბურთელთა ტურნირში გამარჯვებული თბილისის ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან): ანტონ კაზანჯიანი, მიხეილ ასიტაშვილი, ლევან ინწკირველი, დგანან: ვლადიმერ უგრეხელიძე, ილარიონ ხაზარაძე, რევაზ გოგელია, ვალერი ალთაბაევი, გურამ მინაშვილი, სერგო შალალაშვილი, ნოდარ ქორქია და გივი ბიჭიაშვილი.

**ინფორმაცია**

**უხანი (ჩინეთი).** აქ ჩატარებულ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში. ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. პირველი ადგილები დაიკავეს: მურომელმა სერგეი კარავაევმა (67 კგ), ჯეზკაზგანელმა სტანისლავ სმირნოვმა (75 კგ), რუდნელმა ოლეგ ზაბოლოცკიმ (81 კგ), მაიკოპელმა ანჯეი ჩოლოკიანმა (91 კგ) და სვერდლოვსკელმა ალექსი პრიანიშნიკოვმა (ზემძიმე). ოთხი პირველი ადგილი კსდრ-ს მოკრივეებს ხვდათ წილად: კიმ კან ლიმს (51 კგ), კიმ დე ნამს (48 კგ), ლი კიმ ნამს (54 კგ) და ხა ხა ტაეს (57 კგ), ორი გდრ-ის წარმომადგენლებს — ანდრეას ზელოვს (60 კგ) და ტორსტენ შმიდტს (71 კგ), ერთი — ჩინელ იუი ცუანს (63,5 კგ).

**სპორტპროგნოზი"**

**41-ე ტირაჟის შედეგები**

**(10-12 ოქტომბერი)**

1-X, 2-1, 3-1, 4-2, 5-2, 6-1, 7-1, 8-1, 9-1, 10-1, 11-1, 12-1, 13-X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

# ალპინისტური მიღწევები

ეს რეკორდი სახელოვან იტალიელ ალპინისტს რეინჰოლდ მესნერს ეკუთვნის. რეკორდზე, ცხადია, მსოფლიოს ყველა გამოჩენილი ალპინისტი ოცნებობდა, მაგრამ ვიღაც უნდა გამხდარიყო პირველი, რომელიც ჩვენი პლანეტის ყველა თოთხმეტ „რვაათასიან" მწვერვალს დაიპყრობდა. მესნერმა ეს სხვებზე ადრე შეძლო და უკვდავყო თავისი სახელი მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში.

მაგრამ რეკორდის გამეორების მსურველნი კიდევ და კიდევ აღმოჩნდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ გამეორებასაც დიდი ოსტატობა და ვაჟკაცობა სჭირდება, მით უფრო მაშინ, როცა ასეთ უნიკალურ შედეგზეა ლაპარაკი.

მაშ ასე, პირველი ადამიანი, ვინც მსოფლიოს ყველა „რვაათასიანი" მწვერვალი დაიპყრო, იტალიელი რეინჰოლდ მესნერი გახლავთ, მეორე ალპინისტი კი პოლონელი ეჟი კუკუჩკაა, რომელმაც ამას წინათ ჰიმალაებში ბოლო დაუმორჩილებელი მწვერვალი (შისაინტანი, 8013 მეტრი ზღვის დონიდან) „მოდრიკა".

რას უნდა განიცდიდეს ასეთ დროს სპორტსმენი? ცხადია, სიამაყის კანონიერ გრძნობას? კუკუჩკა კი შინ დაბრუნების შემდეგ ჟურნალისტებს სევდაშერეული სიხარულით ესაუბრებოდა. ესეც გასაგებია, ვინაიდან მიზანი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ისახავდა ალპინისტი, უკვე მიღწეულია.

— გულს მხოლოდ იმით ვიმშვიდებ, რომ მსოფლიოში შეუსწავლელი კედელი და ბილიკი ჯერ კიდევ ბევრია. ესეც თავისებური მიზანია, რომელიც სპორტსმენის ცხოვრებას, ალბათ, ახალ სტიმულს მისცემს.

სხვა, რიგითი მთამსვლელები კი ამ დროს სხვა საქმეებით არიან დაკავებულნი. ინდონეზიელებმა ბამბანგ ნერტადიმ და მამაი სალიმუმ ამ დღეებში აფრიკის ყველაზე მაღალი წერტილი, დათოვლილი კილიმანჯაროს მწვერვალი უხურუ დაიპყრეს (5895 მეტრი ზღვის დონიდან). ალპინისტური ხელოვნების თვალსაზრისით ეს ვერაფერი მიღწევაა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სპეციალისტები აფრიკის უმაღლეს წერტილზე... ველოსიპედებით ავიდნენ, თანაც სტანდარტული მანქანებით, რომლებსაც მხოლოდ საბურავები ჰქონდათ ჩვეულებრივზე უფრო ფართო.

ესეც, რა დასამალია და, მიღწევაა, ოღონდ თავისებური.

**ცისფერ ეკრანზე**

**ცენტრალური ტელევიზია. 14 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: ასკ — „სპარტაკი" (II და III პერიოდების ტელერეპორტაჟი ლენინგრადიდან) — **22.50 (2);** მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის — **1.00 (1).**

რედაქტორი
**თ. ბაჩიჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66436**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08035